| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას გამოცდილების გაზიარების მიზნით, საგნობრივ გაერთიანებებზე მასწავლებლების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ გაკეთებული ანგარიშების/ინფორმაციის შეგროვებას, დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შედეგების შეფასებას და მათ საფუძველზე სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების ანალიზს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილია მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის კოორდინატორები სასწავლო და აღმზრდელობით დარგში, უფროსი და წამყვანი მასწავლებლები და კათედრის წარმომადგენლები. ჯგუფის წევრები მოქმედებენ პარადიგმით: დაგეგმე/განახორციელე/შეამოწმე/მოახდინე რეაგირება.<br><br>ჯგუფის ფუნქციები იშლება რამდენიმე მიმართულებით :<br>1. შიდასასკოლო კვლევების ჩატარება (კითხვარების შედგენა, ანკეტების შედგენა...);<br>2. კომპლექსური დავალებებით სწავლების დანერგვა;<br>3. პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ;<br>4. სკოლის დიაგნოსტიკური თვითშეფასების მომზადება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექტორის მოადგილეები, სკოლის ფსიქოლოგი, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები და კლასის მზრუნველები ერთად განიხილავენ იდენტიფიცირებულ პრობლემებს და სახავენ გადაჭრის გზებს; საგნობრივი კათედრები წარადგენენ ანგარიშს კომპლექსური დავალებების დაგეგმვა/განხორციელებისას წარმოქმნილი სიტუაციების შესახებ. აგრეთვე, დაგეგმილი აქტივობების განხორციელების, სასწავლო გარემოს პოზიტიური და ნეგატიური მხარეების, არსებული პრობლემების მოგვარების რეკომენდაციების შესახებ; კლასის მზრუნველები ანგარიშვალდებულები არიან აღმზრდელობით დარგში კოორდინატორის წინაშე; სკოლის ფსიქოლოგი ყოველთვიურ ანგარიშს წარუდგენს სასწავლო პროცესის მონიტორინგის მენეჯერს განხორციელებული საქმიანობის შესახებ; სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი თანამშრომლობს სასწავლო პროცესის მონიტორინგის მენეჯერთან და ყოველთვიურ ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. სასწავლო პროცესის მონიტორინგის მენეჯერი პერიოდულად ატარებს მოსწავლეების, მშობლების გამოკითხვებს წინასწარ შედგენილი კითხვარების საშუალებით. მათ განხილვა/ანალიზზე დაყრდნობით იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. ყველა ამ მონაცემის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილება შედის სასკოლო სასწავლო გეგმაში.<br>ექსპერტები დავინტერესდით რეალურად ტარდებოდა თუ არა სკოლაში სხვადასხვა კვლევები, გამოკითხვები, რომელთა ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალ ნაბიჯებს. დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა დროს ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები, რაც ადასტურებს იმას, რომ სკოლაში ხდება სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი<br>• სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გამოკითხვების შედეგები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სკოლის მულტიდისციპლინურ გუნდის შექმნის შესახებ ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და შეიქმნას ბრძანება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 4140.00 კვ.მ | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: 1113,92 კვ.მ | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტების მიერ სკოლა შემოწმდა დისტანციურად, სკოლის ვიზუალური დათვალიერება ვერ განხორციელდა. შესაბამისად დავეყრდენით დაწესებულების წარმომადგენლის პასუხებს, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და წინა წლებში განხორციელებული ვიზიტების შესახებ ექსპერტთა დასკვნებს.<br><br>სკოლა მდებარეობს ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. 55-ში. მის მფლობელობაში მყოფ 4140.00 კვ.მ ფართობზე განთავსებულია 5 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართით 1113.92 კვ. მ. მათგან 3 -ში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.<br><br>კორპუსი A განკუთვნილია საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის;<br><br>კორპუსი B - დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის;<br><br>კორპუსი C - საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის.<br><br>სკოლის ბიბლიოთეკა და მოსაცდელი ოთახი განთავსებულია B კორპუსში.<br><br>IT კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სპორტული დარბაზი განთავსებულია C კორპუსში.<br><br>კორპუსი 4 -ში არის ექთნის და დირექციის ოთახები და სკოლის სასადილო.<br><br>კორპუსი 5-ს სკოლა იყენებს სასაწყობე შენობად. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქ №55 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 05.29.23.011 |
| *კვ.მ.* | 4140.00 |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• შენობა-ნაგებობების ანაზომი ნახაზები/საევაკუაციო სქემა;<br>• ტექნიკური პასპორტი. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთმანეთისგან იზოლირებულად მდგარ სამ კორპუსში. თითოეული კორპუსი არის ორსართულიანი შენობა.<br>ამათგან ერთი კორპუსში მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები სწავლობენ.<br>სამივე კორპუსში ერთად 21 საკლასო ოთახია, რომლებიც აღჭურვილია 323 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალური მერხით, სასკოლო დაფებითა და სხვადასხვა სასწავლო თვალსაჩინოებებით. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 05 იანვრის ინვენტარიზაციის აქტი, რომლის მიხედვით სკოლაში არის 320 ერთადგილიანი მერხი. გარდა ამისა, არის ორადგილიანი მერხები და სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | C კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია ტანვარჯიშისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად სპორტული დარბაზი, ხოლო სკოლის ეზოში არის მინი სპორტული მოედანი მწვანე საფარით. სპორტულ დარბაზს აქვს გასახდელები, ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის და აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული ინვენტარით: სპორტული ლეიბები, ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შენობების შიდა აზომვითი ნახაზი<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის საგნების სწავლებისათვის საჭირო რესურსით; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი;<br>• სკოლის შენობების შიდა აზომვითი ნახაზი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ელექტროენეგია მიეწოდება „ენერგოპროჯორჯიასგან“.<br><br>სკოლას ტექნიკური დანიშნულებისათვის იყენებს წყალმომარაგების ალტერნატიული სისტემას (ტექნიკურად გამართული არტეზიული ჭა.<br><br>სკოლის შენობები თბება ცენტრალიზებული საქვაბე სისტემით. საქვაბეს გააჩნია მულტიფუნქციონალური მუშაობის რეჟიმი საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით.<br><br>ყველა კორპუსის ორივე სართულზე არის ან 2 ან 3 ადგილიანი სველი წერტილი ცალკე გოგონებისა და ცალკე ვაჟებისათვის.<br><br>ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია ყველა კორპუსის პირველ სართულზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება<br>• სკოლის შენობების შიდა აზომვითი ნახაზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია B კორპუსის მეორე სართულზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას აქვს ყველა კლასისა და ყველა საგნის, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, არამხოლოდ სკოლის მიერ შერჩეული, არამედ ისეთი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლას არ აქვს არჩეული, რათა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შეძლონ მათი დამატებითი რესურსის სახით გამოყენება. სკოლაში ასევე არის მეთოდური ლიტერატურა პედაგოგებისათვის და მხატვრული ლიტერატურა.<br><br>გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლაში არის მათემატიკისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო პლაკატები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერით სარგებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი;<br>• სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამივე სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული თითო ადაპტირებული სველი წერტილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის.<br><br>სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი, შემუშავებული სამუშაო გეგმით. რომელის თავისი შინაარსით წარმოადგენს ისგ ჯგუფს. სკოლას ასევე ჰყავს ფსიქოლოგი და ექთანი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით,<br>• სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებით ისგ წარმართვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს მუდმივად განახლებადი ვებგვერდი, რომლის მისამართია : csb-batumi.edu.ge და რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მისიის, მოსწავლის შეფასების პრინციპებისა და წესის, მოსწავლის წახალისებისა და დისციპლინური სახდელების, სკოლის განვითარების გეგმების, სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების და სხვა, შესახებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევისათვის სკოლას აქვს 22 ერთეული, უწყვეტი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი, 3 პრინტერი, 2 პროექტორი, 3 სკანერი, 3 ქსეროქსის აპარატი.<br><br>როგორც უკვე აღინიშნა ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად და 2 დღის განმავლობაში, ინტერნეტკავშირის შეფერხება არ დაფიქსირებულა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი;<br>• დაწესებულებსი წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• ვიზიტის განმავლობაში მუდმივი და შეუფერხებელი ინტერნეტკავშირი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამივე სასწავლო კორპუსის ორივე სართულზე და მე-4 და მე-5 კორპუსების პირველ სართულებზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრები, სულ 11 ერთეული. გამოკრულია მათი გამოყენების წესები.<br><br>შენობები უზრუნველყოფილია საევაკუაციო კიბით და გასასვლელით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი;<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ყველა კორპუსში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში;<br>• გასული წლების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ჰყავს ექთანი და აქვს სამედიცინო კაბინეტი, კაბინეტში განთავსებულია სამედიცინო საწოლი და კარადა მედიკამენტებისათვის (საჭირო აუცილებელი მედიკამენტებითა და ხელსაწყოებით). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი;<br>• საშტატო განრიგი;<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება<br>• გასული წლების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნები<br>• ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია სკოლის დებულებასა და შინაგანაწესში. შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები. **(დანართი 1)** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული წესი არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასცვის წესისა და პირობების" შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ან შეიმუშავოს ალტერნატიული დოკუმენტი და შეუთანხმოს სამინისტროს.<br><br>სკოლას ჰყავს კომენდანტი და 3 დაცვის თანამშრომელი, რომლებიც სასწავლო პროცესის განმავლობაში აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების მოძრაობასა და მოსწავლეთა ქცევას ეზოში, დასვენებებზე.<br><br>გარდა მეთვალყურისა, დასვენებების პერიოდში მუშაობს კლასის მზრუნველთა და მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რაც დამატებით უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და პერსონალის უსაფრთხოებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის დებულება და შინაგანაწესი;<br>• სკოლის დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• საშტატო განრიგი;<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 12 ერთეული, ხოლო შიდა პერიმეტრს 4 ერთუელი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომლებიც შეესაბამება ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. დაწესებულების წარმომადგენელთან საუბრის დროს, ვერ მოხერხდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემაში შემავალი ვიდეოკამერების ზუსტი რაოდენობის დადგენა. ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა კამერების შესყიდვის ან დაწესებულების საკუთრებაში არსებობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, და განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოზე წარმოადგენდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი;<br>• სკოლის თვითშეფასების ანგარიში;<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმიანობათა დაგეგმვის, წარმართვის პროცედურათა ამსახველი წესდება, სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი და სხვა დოკუმენტაცია. თუმცა სკოლა ყოველთვის ვერ წარმართავს საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის დებულება;<br>• სკოლის შინაგანაწესი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მისიიდან გამომდინარე შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი 2021-2027 წლების და ერთწლიანი - 2021 - 2022 სასწავლო წლის გეგმები..<br><br>გრძელვადიანი განვითარების გეგმა გულისხმობს მუშაობას შემდეგი მიმართულებებით: მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხო სკოლის განვითარება, სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მშობლებთან მუშაობა, ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება.<br>გეგმაში დეტალურად არის გაწერილი მიზნები, ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, შესრულების სავარაუდო პერიოდი, პასუხისმგებელი პირების მითითებით.<br>სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ჩანს სკოლის გამოხმაურება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოწვევებზე, კერძოდ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებაზე და ამასთან კონტექსტში მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა;<br>• სკოლის განვითარების 2021-2022 სასწავლო წლის გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვა, რიგ შემთხვევაში პროცესი მიმდინარეობს ხარვეზებით, ხოლო ზოგიერთი კორესპონდენციის მოძიება სკოლამ ვერ შეძლო. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ რამდენიმე მოსწავლეს ფინანსური დავალიანების გამო შეწყვეტილი ჰქონდა მოსწავლის სტატუსი. ვინაიდან სასწავლო წლის მეორე სემესტრი 1 კვირის დაწყებული იყო, დავინტერესდით მოსწავლეთა ბედით და ხომ არ ეზღუდებოდათ განათლების მიღება. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მოსწავლეები ირიცხებოდნენ შპს კავკასიის ბიზნესის სკოლაში, თუმცა შეწყვეტილი სტატუსის გამო სკოლაში არ დადიოდნენ. დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მოსწავლეთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ შეტყობინება გაგზავნილი ჰქონდა. თუმცა მოსწავლეთა გადაყვანა ვერ მოხერხდა. ექსპერტებმა მოვითხოვეთ რესურსცენტრისადმი გაგზავნილი წერილების შემოწმება. დაწესებულებამ წარმოადგინა 2 წერილი: 2022 წლის 04 იანვრის N2-3/01 და 2022 წლის N2-3/17. საიდანაც ირკვევა, რომ ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი შეუწყდა 20 მოსწავლეს. დაწესებულებამ წარმოადგინა 10 მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება. აღნიშნული ბრძანებებიდან 4 მოსწავლეს, 2022 წლის 11 იანვარს შეუწყდა მოსწავლეს სტატუსი. ამის შესახებ დაწესებულებამ რესურსცენტრს დროულად (იმავე დღეს) აცნობა. თუმცა ამავე წერილში ჩამოთვლილი 11 მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანებები დაწესებულებას არ წარმოუდგენია. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი 10 მოსწავლიდან 6 მოსწავლეს სტატუსი ამავე წლის 05 იანვარს შეუწყდა. ხოლო რესურსცენტრისთვის გაგზავნილი წერილი თარიღდება 2022 წლის 04 იანვრით. აღნიშნული წერილიდან ასევე ირკვევა რომ კიდევ 4 მოსწავლეს შეუწყდა 2022 წელს მოსწავლის სტატუსი, რომელი ბრძანებებიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია. **(დანართი 2.)** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 332 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად *„კერძო სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად“.* ექსპერტები დავინტერესდით რატომ არ შეუწყვიტა დაწესებულებამ მოსწავლეებს სტატუსი უფრო ადრე, რომ მოესწროთ მეორე სემესტრის დაწყებამდე სხვა სკოლაში გადასვლა?<br><br>ამავე კანონის ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად *„კერძო სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით გააფრთხილოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი და განუსაზღვროს მას გონივრული ვადა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტოს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები“.* დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბრძანების გამოცემამდე მოსწავლეების მშობლებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება და არაერთხელ შეატყობინეს მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მოსწავლეთათვის სტატუსის შეწყვეტა იყო უკიდურესი ზომა და მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ვითარება ამ მდგომარეობამდე არ მისულიყო. სწორედ ამან განაპირობა ბრძანებების ზემოაღნიშნულ თარიღებში გამოცემა.<br><br>ექსპერტებმა მოვითხოვეთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული, მშობლებთან არსებული მიმოწერის შესწავლა, დაწესებულებამ წარმოადგინა „მშობლებთან გაგზავნილი წერილის ფორმა“, თუმცა მშობლებთან არსებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიმოწერის დამდასტურებელი დოკუმენტაცია ვიზიტის დასრულებამდე ვერ წარმოადგინა და განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის კორესპონდენციები;<br>• დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრება<br>• სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმა; |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | • იხელმძღვანელოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასცვის წესისა და პირობების" შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ან შეიმუშავოს ალტერნატიული დოკუმენტი და შეუთანხმოს სამინისტროს.<br>• დაწესებულებამ წარმოადგინოს ვიდეოკამერების საკუთრებაში არსებობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.<br>• სკოლამ წარმოადგინოს იმ მოსწავლეების მშობლებთან მიმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებსაც ფინანსური დავალიანების გამო შეუწყდათ მოსწავლის სტატუსი. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები. აღნიშნული წესი არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან საუბრის დროს, ვერ მოხერხდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემაში შემავალი ვიდეოკამერების ზუსტი რაოდენობის დადგენა. ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა კამერების შესყიდვის ან დაწესებულების საკუთრებაში არსებობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, და განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოზე წარმოადგენდა.<br>• დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა იმ მოსწავლეების მშობლებთან მიმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებსაც ფინანსური დავალიანების დავალიანების გამო შეუწყდათ მოსწავლის სტატუსი. |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მასწავლებელთა ბაზა. რომლის მიხედვით სკოლაში სწავლა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სწავლების პროცესს ახორციელებს 43 მასწავლებელი. მათგან 1 არის წამყვანი მასწავლებელი, 22 - უფროსი მასწავლებელი, 6 მაძიებელი მასწავლებელი, ხოლო 14 მასწავლებელს სტატუსი არ აქვს მინიჭებული.<br><br>სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას ასევე ჰყავს: დირექტორი, კოორდინატორი სასწავლო დარგში, კოორდინატორი აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვისა და მონიტორინგის სამსახურის მენეჯერი, კონსულტანტი ადმინისტრაციულ საკითხებში,<br><br>კონსულტანტი აღმზრდელობით საკითხებში, IT მენეჯერი, ბუღალტერი, ოფისის მენეჯერი, მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, დავალიანების მართვის მენეჯერი, იურისტი, ექთანი - დიეტოლოგი, დამლაგებელი, დაცვის თანამშრომელი, მზრუნველები, ბიბლიოთეკარი და ფსიქოლოგი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საშტატო განრიგი<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 43 |
| მოწვეული/მაძიებელი | 9/6 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 5 |
| უფროსი მასწავლებლი | 22 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ჰყავს 43 მასწავლებელი. მათგან 1 არის წამყვანი მასწავლებელი, 22 - უფროსი მასწავლებელი, 6 მაძიებელი მასწავლებელი, ხოლო 14 მასწავლებელს სტატუსი არ აქვს მინიჭებული.<br><br>ექსპერტები დავინტერესდით თუ რატომ არ ჰქონდა 14 მასწავლებელს სტატუსი მინიჭებული და როგორ მოხდა, რომ სტატუსი არ მქონე მასწავლებლები ასწავლიან სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათი ნაწილი იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი (5 მასწავლებელი), ხოლო ნაწილი მოწვეული მასწავლებელი. პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა 2022 წლიდან ეს სტატუსი დაკარგეს და შესაბამისად დარჩნენ უსტატუსოდ. დაწესებულებამ გამოაცხადა ვაკანსია, თუმცა კონკურსის შედეგად, მასწავლებლების ჩანაცვლება ვერ მოხერხდა. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხებულიყო, აღნიშნულ მასწავლებლებს შრომითი ხელშეკრულება შეუნარჩუნდათ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ კვლავ გამოაცხადებენ ვაკანსიებს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მასწავლებელს ჩაბარებული ჰქონდა ორივე გამოცდა, თუმცა არასაკმარისი კრედიტების გამო არ ჰქონდა მინიჭებული უფროსის სტატუსი. ახალი რეგულაციის თანახმად კი, მას უახლოეს მომავალში მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული მასწავლებლის მიერ, გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერი<br>• მასწავლებლების ხელშეკრულებები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • საკონკურსო დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების წესი, სადაც გაწერილია თანამშრომლის სამუშაოზე მიღების და გათავისუფლების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს.<br><br>აქვეა ასახული თანამშრომელთა მუშაობის დრო პირობა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, შვებულების მიცემა, მივლინება, (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.)<br><br>ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების წესი, თუმცა თანამშრომელთა მუშაობაში მიღწეული წარმატებისათვის წახალისების ფორმები წინასწარ არ არის განსაზღვრული. შინაგანაწესის მიხედვით *„სკოლის დირექტორს შეუძლია დაადგინოს წახალისების ფორმები გარკვეული პერიოდის მუშაობის მონაცემების მიხედვით“.*<br><br>აღნიშნული ჩანაწერი არ იძლევა წარმოდგენას, რა ტიპის საქმიანობები შეიძლება წახალისდეს დირექტორის მხრიდან. სასურველია სკოლამ განსაზღვროს მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი ძირითადი აქტივობები და წახალისების სახეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. სკოლის 5 მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება საჭიროებს შეცვლას, რადგან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი აღარ არსებობს, ხოლო აღნიშნულ მასწავლებლებს ხელშეკრულებაში პრაქტიკოსი მასწავლებლის თანამდებობა აქვთ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დაწესებულების თანამშრომლები თანამშრომლობენ მასწავლებელთა პროფესიულ კავშირებთან, სკოლა სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს ტრენინგების შესახებ. აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები კათედრებზე. ხდება პედაგოგთა ურთიერთდასწრებები, ურთიერთშეფასება და ურთიერთსწავლება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა სერტიფიკატები;<br>• სქემაში ჩართულ მასწავლებელთა რეესტრი;<br>• მასწავლებლებთან და სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვინაიდან მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას, გავცნობოდით სასკოლო შენობას, დაგვეთვალიერებინა სასკოლო ფიზიკური გარემო, მისი გაფორმება, სასწავლო რესურსები, ასევე ვერ შევძელით მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა პირისპირ გაცნობა და გასაუბრება. იძულებულნი ვიყავით სასკოლო საზოგადოებას გავსაუბრებოდით დისტანციური ფორმით.<br>სკოლის მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც და მოსწავლეთა მშობლებიც, ერთხმად საუბრობდნენ სკოლის წარმატებაზე, მათ სკოლისადმი ნდობაზე და სკოლის სასიამოვნო გარემოზე. ისინი აღნიშნავდნენ თუ როგორი კმაყოფილები იყვნენ სკოლით, სკოლის მნიშვნელობაზე და სასკოლო გარემოზე. თითქმის არ დასახელებულა რაიმე უარყოფითი ფაქტი ან გარემოება. თუკი რამე უარყოფითი ხდებოდა სკოლაში, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრით, ეს სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდებოდა. მიუხედავათ ექსპერტთა მხრიდან ჩაკითხვის არაერთი მცდელობისა, არც მოსწავლეების, არც მასწავლებლების და არც მოსწავლეთა მშობლების მხრიდან მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორზე საუბარი არ ყოფილა.<br>ექსპერტები ასევე გავეცანით სკოლის დებულებას. სადაც გაწერილია ისეთი საკითხები, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული თანამშრომელთა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნისაკენ. დებულებაში გაწერილია ისეთი საკითხები როგორიცაა:<br>• თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები<br>• სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება<br>• გასაჩივრების უფლება<br>• ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა<br>• გამოხატვის თავისუფლება<br>• შეკრების თავისუფლება<br>• გაერთიანების თავისუფლება<br>• პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა<br>• რწმენის თავისუფლება<br>• ძალადობის დაუშვებლობა და უსაფრთხოება |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოსწავლეთა მშობლებთან ინტერვიუ;<br>• მასწავლებლებთან ინტერვიუ;<br>• მოსწავლეებთან ინტერვიუ;<br>• სკოლის დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | • მოქმედ რეგულაციებთან თავსებადობის მიზნით, პრაქტიკოს მასწავლებლებთან გაფორმდეს ახალი დროებითი ხელშეკრულებები.<br>• ჩამოყალიბდეს თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემა |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

**დანართი 1 – 19 (ცხრამეტი) ფურცელი**

**დანართი 2 – 16 (თექვსმეტი) ფურცელი**

თბილისი

16.02.2022

გვერდების რაოდენობა: 88 (ოთხმოცდარვა)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.